2 (14) აგვისტოს 1868. № 31. მესამე წელიწადი.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

	ბაუგზავნით ტფილისში	ბაუგზავნელათ:
	და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, შელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება.

„დროების“ ხელის მომწერთა, რომელთაც აქამდის ამ წლის ფული არ შემოუტანიათ, უმორჩილესად ესთხოვთ, რომ შემოიტანონ და რომელთაც სრულათ არ მოუციათ, იმათაც აგრეთვე ესთხოვთ შეავსონ წლის ფასი „დროებისა“.

შინაარსი: — სამოსამართლო მაჩვენებელი.— რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.—პოლიტიკა: შრანცია.— შეერთებული შტატები.—ინდიის დროებითი მმართებლობის პროტესტი. — ტელეგრამმები. — უქიმ—ს „თუთუყუშები და ჰორიკანეთელი რიხინაძეები“.—ნინო.

სამოსამართლო მაჩვენებელი.

საქმენი, რომელნიცა დანიშნულნი არიან ტფილისის სამაზრო სასამართლოში სამოქალაქო განყოფილებაში 10 აგვისტოს:

1) სადავო საქმე დავით ქალანდაძისა, დავით სააზოესა და ნიკოლოს თამამშოვს შუა, რომელიც ატყდა მიწის გამიჯვნის დროს ვერის მდინარის პირზე საგაბაშვილო მამულში.

2) სადავო საქმე, რომელიცა ატყდა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წარმომადგენელს ჩინოვნიკსა და მოქალაქე ნაზარ ნაზარბეგოვს შუა იმის მფლობელობაში მყოფის ბაღის გამიჯვნის დროს სოღანლუღს.

3) სადავო საჭმე ამტყდარი ქუმისის მამულის გაყოფის დროს საეკლესიო უწყებათა და თთ. ორბელიანთა, ერისთავთა და სოლაღოვთა შორის ერთის მხრით და მეორეს მხრით მოსაკუთრე გლეხთა შერეშოვთა, როსტიაშვილსა, ზალიაშვილსა და ხოსიტაშვილს შორის.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში სამსჯავრო განყოფილებაში დანიშნულია შემდეგი საქმე 5 აგვისტოს, დილის 10 საათზე.

1. სააპელაციო საქმე ელისაველტოპოლის სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილობაზე, რომელიცა მოხდა იმისა გამო, ვითომც სეიდ მამედ ჰაჯი-ძერიმი-ოღლის დაეფაროს შუშის მცხოვრების აროუთინა ფასკანოვის მოკვლა.

რუსეთის ცხოველთ მფარველობის საზოგადოების წესები.

დამტკიცებულნი შინა-საქმეთ სამინისტროსაგან.

1. აღიკრძალების იმისთანა საქონლის ხმარება, რომელთაც ავადმყოფობა ეტყობათ, რამე ასო აქვსთ წამხდარი, იარაები აქვსთ, ან კოჭლობენ.

2. ნება არა აქვს არაფის სცემოს საქონელს ხმელი ან მწვეტი რამით (კეტით, ჯოხით და სხვ.), ხოლო თავში და მუცელში ცემა სრულებით აღიკრძალება.

3. აღიკრძალების ურმის ან პაოსკის ძალიან დაბარგება, რომელიც აშკარად ეტყობა, რომ არ შეჰფერის საქონლის ღონესა და გზის მდგომარეობას (სიცუდეს და სხვ.).

4. არავის არ მიეცემა იმისი ნება, რომ ურმით ან პაოსკით, გინდ ცარიელი იყოს, გინდ დაბარგებული, ქალაქის ქუჩებზე ჭენებით იაროს, უმეტესად თუ მძიმეთაც არის დაბარგებული.

5. აღიკრძალების ცხენის გამობმა დაბარგებულ ურემსა ან პაოსკას უკან იმ შემთხვევაში, თუ ურემში ან პაოსკაში შებმული საქონელი ძლიესა ჰზიდავს თავის ბარგსა.

6. ნება არა აქვს არავის, რომ ხბორები ან სხვა წვრილი რამე საქონელი წვალებით მიჰყვანდეს სადმე, ესე იგი ურემზე ან პაოსკაზე და ცხენებზედაც ისე არ უნდა დააკრან წვრილი საქონელი, რომ ერთმანეთზე მიტყუპებულნი იყვნენ, აგრეთვე თავი დაკიდული არ

სამოსამართლო

ნინო.

შენი ვარ და შენთვის ვტირი,
შენთვინ ვითხრი სამარესა.
რუსთველი.

I

ამას წინათ ქალაქს N-ს სახლობდა სხვათა შორის თავადი არჩილ ჩხიკვაძე. ამ ქალაქში იმ ადგილს, საცა კურთხეული მეფე უწინდელს დროს გამობძანდებოდა ხოლმე ჯირითობის საცქერათ, ბევრი სახლები დგანან; აქ დგას არჩილის სახლიცა; ეს სახლი არის ორეტაჟიანი და აშენებულია ახალ პლანზე, წინ პატარა ბაღი აქვს, ერთი სიტყვით—გარეგანი შეხედულობა ამ მოსახლობისა რიგიანია.

არჩილს ჰყავდა ცოლი—ხაფია; ორი ქალი შვილი ანუსია და ნინო, ერთი ვაჟი ივანე. ანუსიას არაფერი სწავლა არ მიელო, ის იყო ერთი უბრალო სოფლის ქალი; ნინო იყო გაზდილი რ..... პანსიონში.

არჩილ თავის ცოლით ეკუთვნოდა იმ გვარს ხალხს, რომლის ცხოვრება გადის სმაში, ჭამაში და ძილში; თუ გინდა, მკითხველო, ნათლათ შეხედო ამ ჯურის ხალხს, მოიგონე „ძაცია ადამიანიდანვე“, იმათი წარმომადგენელი თავადი ლუარსაბ თათქირიძე. ესენი თუ განსხვავდებიან გარეგანის სახითა, თორემ შინაგანი აზრი ცხოვრებისა, ესე იგი, „უსაქმობა“ ერთია ორივესი. ადრე არჩილ თავის ოჯახობით, უფრო ხშირათ სოფელში ცხოვრობდა ხოლმე; უკანასკნელს დროს ხაფია აღარ უსვენებდა მაინცა და მაინც მუდამ ქალაქში ვიცხოვროთო. ამ გვარ ხაფიას ჩაციებაზე ის გაკვირვებული იყო, ერთხელ კიდევაც უთხრა:

—ქალო, ადრე შენ მარჩობდი, ქალაქში როცა ვცხოვრობდით: რა გვინდა აქ? რას მოვიგებთ, რასაც არას წავაგებთო, ჩვენთვის მშვიდობიანად ჩვენ სოფელში ვიცხოვროთო. ახლა რა მიზეზია მუდამ ქალაქში ცხოვრებას რომ თვითონ იხვეწები?—შენ არ მომიკვდე, უპასუხა ცოლმა, არც ჩემთვინ იყოს სასიამოვნო მუდამ ქალაქში ცხოვრება, მაგრამ ხომ ხედავ ჩვენ ქალიშვილებს: ანუსია კი ხანია გასათხოვარია. ნინომ, შეასრულა სასწავლებელი, ჰხედავ ისიც გასათხოვარია. ახლა იმათ პატრონობა უნდა! ანუსია ესთქვათ არაფერია, იმის ტოლს ოფლათაც ვიპოვნით, მაგრამ ნინოს რა უყოთ? ქალაქში ცხოვრებას თუ ჩაგციებივარ, საკუთრად მისთვინ ჩაგციებივარ.

— ანუსია და ნინო რა სხვა და სხვა არიან? ანუსიას თუ უშოვნით ტოლს სოფლათ, ნინოს რატომ ვერა?

— ვინ მოგახსენებთ ვერაო, კი ვუშოვნით, მაგრამ ბევრი მზითვეი დაგვჭირდება; გამოუზდელ კაცს ის არ გაჰყვება; გამოზდილობასთან შეძლებაც უნდა ჰქონდეს; ამ ცოდვა მოვლენილ დროში გამოზდილი და შეძლებული კაცი ჩვენში ბევრს მზითვეს თხოულობს, შენც კარგათ იცი!

— ვაი ჩემს თავს! რას მეუბნები, ქალო, განა ნინო ჩემ სიტყვას გადაუდგება? ბანა ის ჩემ ამორჩეულ კაცს დამიწუნებს?

— არა, შენი ჭირიმე, შენ კარგათ იცი თვითონ იმას ჩვენსავით ცხოვრება არ შეუძლია, არც ანუსიასავით, ის გაზდილი ქალია, იმას უნდა ქალაქში ცხოვრება: ბალებში სიარული, ტანცაობა, კაი ტანისამოსი და სხვა; სოფლელი კაცი ვინ შეინახავს აგრე იმასა? იქნება მოიპოვოს კი ჩვენში ამისთანა კაცი, მარამ მაიფიქრე რა მზითვეს ითხოვს?

— მაინც და მაინც ბალებში არ იაროს, არ იქნება? ის რომ რიგიანათ შეინახოს, ე. ი. კარგათ ასვას, კარგათ აჭამოს, რიგიანათ ტანი ჩააცვას, ამისთანა ბევრია ჩვენში სოფლად და მეტი რა უნდა?!

— არ ივარგებს, გენაცვალე, ნინო მაგრე ველარ იცხოვრებს, ის განათლებული ქალია; სოფლური ცხოვრება მისთვინ წვალება იქნება. თუ აგრე გვინდოდა რისთვინ გავზარდეთ? რათ დავხარჯეთ იმდენი ფული? ბანა გაუზდელათ ვერ მივათხოვებდით მაგისთანა კაცს? ჩვენ თუ მუდამ ქალაქში ვიქნებით, მისი. გათხოვება ადვილია. ქალაქში ბევრი ყმაწვილი ბიჭებია რელამის გვარისანები: ისინი დაიწყებენ ჩვენსა სიარულს; ნინოც თავის სილამაზით და ეშხით გაიტაცებს იმათა, ისინი შეიყვარებენ იმასა, ისინი შეიყვარებენ ჩვენს ნინოსა, მერე როგორც მოგვეწონოს ჩვენ იმას მივცეთ.

— აფერუმ ქალო, კარგათ მოგიფიქრებია ეგ შენ! რელამის გვარისას მივცე ჩემი ქალი! ეგ კაცები მოჩვენებაა—სხვა არაფერი. სანამ სამსახურში არიან, ხომ კარგათ არის მათი საქმე, როცა აღარ არიან, მერე? დღეს სად არიან? ხვალ სადა? ეგ ის არის წყალში გადავაგდო შვილი.

— მაგაზე რათ წუხდები კაცო შენ, ნინოს ეგ ურჩევნია, ის მაგაზე უფრო მადრიელი იქნება.

— მე მამა არა ვარ ნინოსი? მე უფრო არ გავარჩევ, რა სჯობს და რა არა მისთვინ?

— აბა, გენაცვალე, შეხედე ჩვენ ტასიას: რა ცუდია მისი ცხოვრება? ხომ იცი ვინ არის მისი ქმარი? თუ გინდა, წვერაძის ქალს შეხედე, ინჟინერს რომ ჰყავს. ვინ არ შენატრის მათ ცხოვრებას!

— მე ვამბობ, ხაფია, მათი ცხოვრება დროებითია, წარმავალია. ჩვენი ნინოსთვინ უფრო საფუძვლიანი ცხოვრება რომ გამოვარჩიოთ, ის სჯობია. ეგ შეიძლება ისევ ჩვენში, ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში.

— არა, ჩემო არჩილ, ნინოსთვინ, როგორც გითხარით ჩვენებური ცხოვრება არ ვარგა.—რამდენი ეწინააღმდეგა ხაფია თავის ქმარს, რამდენი რა არ უთხრა, რომ თავის აზრზე გადაეყვანა, მაგრამ, როგორც მკითხველმა დაინახა, ბერა გააწყო რა, არჩილი მაინც თავის აზრზე დადგა. მაგრამ, როგორც ხაფიამაც მოაგონა, მართლა ჩაფიქრდა! რათ გავზარდეთ ჩემი ქალი პანსიონში? რათ მინდოდა იმისი განათლება (?) განა გაუზდელათ რომ დამეტოვებია, ჩემი ტოლი კაცი დაიწუნებდა?

ამ კითხვებზე დიდხან იყო ის ჩაფიქრებული, ბოლოს გადაწყვიტა: თუ ახლა მისთვინ მზითვეი დამჭირდა კიდევ, მართლა რომ ფუჭათ და უსარგებლოთ წასულა მისს განათლებაზე ფულები! ამ ანგარიშმა მართლა იმოქმედა არჩილზე, იმოქმედა ასე რომ სრულიად დათანახმდა ხაფიას ჰაზრზე.

II

მე ვსთქვი ანუსიას არაფერი სწავლა მიუღია მეთქი, ე. ი. იმისთანა სწავლა არ მიუღია, რომ იმისი გონება გაეხსნას. იცოდა კი ქართული წერა-კითხვა და ზოგი ლოცვები; ამას გარდა ჭრა-და-კერვაც რიგიანათ იცოდა, სხვა არაფერი. ნაბეჭდ წიგნს ანუსია ვერ კითხულობდა; სულ რომ ვერ ამოეკითხნა მაგას არ ვიტყვი, მაგრამ კითხულობდა მარცვლა-მარცვლათ და ძალიან ცუდათ: დიდი ჟიტნით და ვაი-ვაგლახით იქნება ნახევარ საათში ათი სტრიქონი წაეკითხნა. წერაშიაც ძალიან ქვეითი გახლდათ: მისი ხელი მოგაგონებდათ ბატის ფეხებით ნასიარულებსა. ესრეთი იყო ანუსიას ცოდნა.

ნინო განათლებული ქალი გახლავთ, როგორც ხაფია ამბობს; ის არის გაზდილი ჩ.... პანსიონში, იცის ენები რუსული და ფრანცუზული; ქართულ ენაზე წერა-კითხვა ბევრათ ცუდათ იცის ანუსიაზე. ტანცაობა, კნიკსი, რაღა კითხვა უნდა, იცოდა და იცოდა, ამას გარდა ტანისამოსის რჩევაში იმისთანა დახელოვნებულია, ტოლი არა ჰყავს იმ ქალაქში. ეს გახლავან თავი სიბრძნენი, რომლებიც ნინოს გამოეტანა ჩ..... პანსიონიდგან. ნინომ რაც სწავლა შეასრულა პანსიონში, მას აქეთ დიდი ხანი არ არის. იქნება სამი წელიწადი. ის არის ახალგაზდა და ლამაზი.

ამ ქალაქში არჩილს ნაცნობები საკმაოთ ჰყავდა, არჩილს და მის ნაცნობებს ხშირი მისელამოსელა ჰქონდათ ერთმანეთში. არჩილს ქალებთან სიარულის არა სწამდა რა; საცა წავიდოდნენ, ხაფია თავის ქალებით ცალკე წავიდოდა, არჩილ კი ცალკე. ერთად ისინი იშვიათად მოხვდებოდნენ ხოლმე.

არჩილის სახლის პირდაპირ სდგას ერთი დიდი ორ-ეტაჟიანი სახლი, ამ სახლში ცხოვრებს N-ს ქალაქის დიდი ბობოლა *) თავადი ბიორგი წვერაძე. ეს სახლი არის ბუდე უსაქმო კაცებისა; აქ შეიყრებიან ხოლმე ყოველს საღამოს სხვა და სხვა თემის ხალხი, გარეგანო-

*) ეს სიტყვა ზიმშერიძის არის.

უნდა ჰქონდეთ და სიარულის დროს თავს არ უნდა ახლიდნენ რასმე; ამასთან მეურმეს ან მეპაოსკეს არა აქვს ნება ურემზე, ან პაოსკაზე დაწყობილ ხბორებს, ან სხვა საქონელს ზედ დააჯდეს.

7. შებმული ცხენი ან სხვა საქონელი რომ წაიქცეს აღიკრძალების მათრახით, ან სახრით იმისი აყენება; მაშინ უნდა ეცადნენ, რომ ხელით ააყენონ, და თუ ხელით ვერ ააყენეს—უთუოდ უნდა გამოუშვან და ისე ააყენონ.

8. საზოგადოდ აღიკრძალების ყველა გვარი წვალება ცხოველთა, რომელიც უნდა იყოს, ან იმათი სასტიკად მოპყრობა.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲗ ᲕᲐᲚᲐᲓ ᲐᲓᲔᲕᲔᲡᲗ ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲝᲜ ᲐᲛ ᲖᲔᲛᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲣᲩᲘᲜᲝᲜ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲗᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲗ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ᲕᲘᲜᲪ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲞᲧᲠᲐᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲡᲯᲐᲖᲔ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲗ 29 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲜᲣᲩᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲜᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ.

პარიჟის გაზეთში Pays-ში დაბეჭდილია, როგორც თითონ გაზეთი ამბობს, ხალხში გამოსული პროკლამაცია, რომელშიაც არის ლაპარაკი იმპერატორის მოკვლის განზრახვაზედ და ᲤᲝᲜᲢᲔᲜᲔᲑᲚᲝᲨᲘ იმპერატორისაგან ნათქვამ სიტყვაზედ. როგორც სჩანს ხელმოწერილებიდგან, ის პროკლამაცია შედგენილი იყო „მოქმედებითი პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან“. პროკლამაციაზედ არის ზედწარწერა: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა; ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ, პარიჟის რევოლიუციური კომმუნა (ერთობა)“. (საღამოს ტელეგრამმა ამის შეთხზვას ფრანციის ემიგრანტს ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲞᲘᲐᲡ აბრალებს). ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲐᲨᲘ არის მრავალი ლანძღვა ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ; იქ არიან ნაქებნი: ᲠᲣᲡᲘᲜᲘ, ᲑᲔᲠᲔᲖᲝᲕᲡᲙᲘ, მთავარი მიხეილის მკველელები, ამ პირებთანვე არის შედარებული ᲮᲣᲐᲠᲔᲡᲘ, რომელმაც დაახვრეტინა იმპერატორი მაქსიმილიანე. როგორც ᲤᲝᲜᲢᲔᲜᲔᲑᲚᲝᲨᲘ წარმოთქმული სიტყვიდგანა სჩანს, მმართებლობას უნდა, რომ ამ მომავალ აღმოჩენების თაობაზედ აღმომჩენელნი დააშინოს „წითელი რევოლიუციის“ მოჩვენებით. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲖᲔᲕᲘᲗ მოხსენებული პროკლამაციების გვარი ამ ჟამად ძალიან უხდება ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲡ. ᲐᲜᲒᲚᲘᲘᲓᲒᲐᲜᲐᲪ დრო გამოშვებით იგზავნება ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ ნათქვამი პროკლამაციების მსგავსები, მაგრამ ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ იმათ ყურს სულ არავინ უგდებს.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡᲐ

სჯულის-მდებელ კორპუსის ყრილობაში 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ იყო ბაასი შესახებ ორის გასწორებისა. ᲔᲡ ორი გასწორება წარადგინეს იქ და პირველი გასწორება, რომელზედაც ეწერათ ხელი უ.უ. ნოჟანს, ᲚᲝᲠᲐᲜᲡ, ᲨᲝᲠᲡᲝᲡ, ᲚᲐᲠᲐᲑᲘᲣᲠᲘᲡ, ᲐᲠᲛᲐᲜᲡ, მარკიზს ᲔᲠᲛᲘᲜᲡ, დელამარს (ᲙᲠᲔᲖᲘᲓᲒᲐᲜ) და მილანს, იყო გამოცხადებული ამ სახით: 778. მუხ. ᲗᲐᲕᲘ XII. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲚᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘ. შეიცვალოს იქ მყოფი გამოთქმა: ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ აი ამ გამოთქმით: ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ. მეორე გასწორებაზედ ეწერათ ხელი უ.უ. ᲙᲐᲠᲜᲝᲡ, Ჟ. ᲡᲘᲛᲝᲜᲡ და ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲡ და იყო გამოცხადებული ამ სახით: ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲔᲡ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲔᲡ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ. ᲙᲐᲠᲜᲝ იყო ორატორათ, რომელიც ამის შესახებ ლაპარაკობდა. “Уфалнъ, სთქვა მან, მიზეზი,რომლისა გამოც წარმოგიდგინეთ ჩვენი გასწორება, მდგომარეობდა არა მარტო გრამატიკულ შეცდომაში; არამედ ამის მიზეზი უფრო სხვა უაღრესი საქმეა. ᲓᲐᲕᲣᲒᲓᲝᲗ ᲧᲣᲠᲘ ეხლანდელს დიდს სლოვენურ მოძრაობას; ამ მოძრაობას დიდათ შეეწივნენ მწერლები და ფილოლოგები; და აბა რასაკვირველია ის სახელმწიფო, რომლისათვისაც დიდს სარგებლობას მოიტანს ზემოხსენებული მოძრაობა, ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობდა და ცდილობს მოიგოს იმ მწერლების და ფილოლოგების გული. ᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ეს საგანი ღირსია, მე ვგონებ, რომ საპოლიტიკო მომქმედთა პირთა ყურადღება მიაპყრონ იმას. ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲔᲑᲘᲡ რიცხვში არის ერთი სლოვენური ენის და ლიტერატურის კათედრა. მაშინ როდესაც ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ სლოვენური ნაცია ერთი კი არ არის,—ბევრია; ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲣᲠᲘ ᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲕᲡᲗ თავთავიანთი ენა და თავთავიანთი ლიტერატურა; პოლშელების, რუსინების, ჩეხების, ბოლგარების შეერთება ვერას გზით ვერ შეიძლება.

ᲐᲮᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲘ ᲠᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ: თუ სჯულის მდებელი კორპუსი, რაც ზემოთ ითქვა, იმას შემდეგ კიდევ დაიკავებს კათედრის უწინდელს სახელს, მაშინ ის ამითი დაემოწმება ცრუ სწავლას, რომელიც თითქმის სასაცილოა ამ ჩვენს დროში, როდესაც ასე ძლიერათ არის გავრცელებული ფილოლოგიური სწავლა; და მეორედ (ეს უფრო შესანიშნავია) მისცემს კანონიერს ძალას ენების შეერთებით შთამოების შეერთებას და ეს გაამართლებს, რაოდენათაც შეიძლება, პატივ-მოყვარულს განზრახვებს რუსეთისას, რომელიც ცდილობს შეაერთოს ერთ ხალხათ, რაც რუსეთის, ᲞᲠᲣᲡᲘᲘᲡ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ და ᲠᲣᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ საზღვრებს შუა სხვა და სხვა შთამომავლობის ხალხებია. Уфалнъ, განიხილეთ ყველა შედეგნი, რაც ამ საქმიდგან წარმოსდგება და თუ, ერთ-ერთის გასწორების მიღებით თქვენ დაამტკიცებთ სლოვენურთ შთამოებათა სხვადა სხვაობას, რომელიც აღარ არის ეჭვ ქვეშ,მაშინ ყოველი მათგანი იგრძნობს ზნეობითს ღონეს, რომ წარდგეს წინ და ებრძოლოს მოსკოვიტურს (ე. ი. რუსეთის) შემაერთებელს მეცადინეობას. ᲖᲜᲔᲑᲐᲕᲗ ᲒᲐᲘᲒᲝᲗ რუსეთის მმართებლობის ჰაზრი ამ საგანზედ? ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲐᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ, როგორის სიმწარით უცქერიან ამ ჩვენ გასწორებას;—ეს ამტკიცებს, რომ ამ ამბავს ცოტა ბევრ ადამიანს ეხება.

ᲑᲘᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲜᲔᲑᲐᲗ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲡᲔ: ᲔᲠᲗᲘ ᲬᲧᲝᲑᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ ᲙᲐᲠᲢᲡ; (ᲐᲛᲘᲗ ᲒᲐᲘᲠᲗᲔᲕᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ“ (?) ᲥᲐᲚᲔᲑᲘ,) ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲧᲝᲑᲐ—ᲚᲝᲢᲝᲡ, (ᲐᲛᲘᲗ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ) ᲛᲔᲡᲐᲛᲔ—ᲜᲐᲠᲓᲡ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲐᲡᲘ;—ᲠᲐᲖᲔ?—ᲤᲐᲡᲘᲐᲡ ᲙᲐᲑᲐᲖᲔ. ᲤᲐᲡᲘᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲨᲔᲣᲙᲔᲠᲐᲕᲡ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲠᲦᲕᲔᲕᲡ.

ᲮᲐᲤᲘᲐᲡ ᲐᲦᲠᲔ ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲫᲐᲒᲓᲐ, ᲫᲘᲠᲘᲐᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲓᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲘᲥᲐ, ᲔᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲚᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲗ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ.

ᲜᲘᲜᲝᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲐᲘ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲤᲘᲐᲛ ᲒᲐᲐᲮᲨᲘᲠᲐ ᲘᲥ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲜᲘᲜᲝᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ ᲘᲧᲝ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲗᲐᲕ-ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲛᲝᲛᲬᲝᲜᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲕᲐᲟᲔᲑᲘᲡᲐ. ᲘᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲔᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲡ. ᲠᲝᲪᲐ ᲨᲘᲜ ᲛᲝᲛᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲓᲔᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲣᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ, ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ ᲔᲪᲕᲐ; ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲜᲝ ᲡᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲨᲚᲐ�პᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡ. ᲮᲐᲤᲘᲐᲡ ᲫᲠᲘᲔᲚ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲐᲬᲑᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲗᲣ ᲙᲘ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲨᲣᲚᲘ ᲠᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲢᲧᲣᲔᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ; ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲮᲐᲜ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲮᲐᲤᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲝᲚᲥᲛᲐᲠᲡ ᲨᲣᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲙᲐᲢᲐ ᲒᲐᲮᲢᲔᲑᲝᲓᲐ (ᲬᲐᲘᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ).

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ ᲑᲐᲚᲘ ᲬᲕᲔᲠᲐᲫᲔ; ᲐᲛ ᲑᲐᲚᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲜᲘᲜᲝᲪᲐ; ᲘᲛᲐᲡ ᲘᲥ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲛᲘᲡᲗᲥᲘᲜ, ᲗᲣ ᲡᲐᲓ ᲘᲨᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲑᲐ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲔᲚᲘᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲔᲢᲧᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲬᲠᲘᲚᲘᲚᲘᲗ. ᲜᲘᲜᲝ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲗ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲖᲔ; ᲘᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲐ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲘᲛ ᲙᲐᲑᲐᲖᲔᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲓᲔᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲔᲧᲘᲓᲜᲐ. ᲓᲔᲓᲐ ᲨᲔᲭᲐᲠᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᲤᲝᲜᲘ ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ“ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲩᲔᲜᲨᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲐᲤᲘᲐᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲪᲝᲓᲐ, ᲐᲠᲩᲘᲚᲘ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ.

ᲐᲠᲩᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲘᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ. ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲮᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ—ᲐᲠᲩᲘᲚᲡ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲐᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲗᲝᲗ. ᲐᲠᲩᲘᲚᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ „ᲚᲐᲥᲣᲪᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲠᲝᲛ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ: ᲫᲐᲚᲝ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲐᲜᲔᲑᲔᲗ ᲨᲔᲡᲫᲐᲮᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲚᲛᲐ. ᲮᲐᲤᲘᲐ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲕᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

— ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲔᲛᲝ, ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲮᲔᲚᲐᲗ?

— ᲠᲐᲗ �გᲘᲜᲓᲐ?

— ᲙᲐᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲡ ᲜᲘᲜᲝ, ᲠᲐᲚᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲐ.

— ᲚᲛᲔᲠᲗᲝ ᲨᲔᲛᲘᲬᲧᲐᲚᲔ, ᲠᲐ ᲙᲐᲑᲐᲡ? ᲙᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ? ᲡᲣᲚ ᲙᲐᲑᲐᲗ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲘᲥᲪᲔᲕᲐ?

— ᲙᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛ ᲛᲝᲓᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲘᲛᲐᲡ ᲘᲛ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ; ᲮᲝᲛ ᲘᲥᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲢᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲨᲘ ᲕᲔᲠ �გᲐᲛᲝᲡᲮᲚᲢᲔᲑᲐ.

— ᲫᲐᲚᲝ, ᲠᲐ ᲢᲝᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲮᲚᲢᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐ ᲙᲐᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲪᲕᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲡᲮᲕᲐᲡ? ᲐᲑᲐ ᲠᲐ ᲬᲣᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲙᲐᲑᲐᲡᲐ?

— ᲠᲝᲒᲝᲠ, ᲠᲐ ᲬᲣᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ! ᲘᲛᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲑᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ; თორმეტ მანათს არც ერთი მისი კაბა არ აცილდება. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲑᲐᲡ თხოულობს, იმის ფასი ოთხმოცი მანეთია.

— ᲫᲐᲚᲝ, ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑ? ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲐ? ᲨᲔᲜ ᲭᲙᲣᲐᲖᲔ ᲮᲐᲠ ᲙᲘᲓᲔᲔ? ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲔᲠᲗ ᲙᲐᲑᲐ'ᲨᲘ ᲛᲘᲔᲪᲔᲗ, ᲠᲐᲚᲐ ᲕᲭᲐᲛᲝᲗ. ᲐᲠ ᲘᲪᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲚᲐ-ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ?

— ᲮᲐᲜ-ᲓᲐ-ᲮᲐᲜ ᲙᲐᲠᲢᲨᲘ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲒᲔᲑ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲘᲓᲔᲔ ᲒᲘᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ. ᲙᲐᲑᲐ ᲜᲘᲕᲗᲘᲐ, ᲮᲝᲛ ᲢᲧᲣᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ ᲤᲣᲚᲘ?

ᲐᲥ ᲐᲠᲩᲘᲚᲛᲐ ᲪᲣᲓᲐᲗ ᲨᲔᲐᲛᲬᲚᲐᲙᲣᲜᲐ ᲞᲘᲠᲘ, ᲘᲛᲐᲡ ᲛᲔᲮᲐᲗ ᲓᲐᲔᲪᲐ ᲑᲝᲚᲝᲖᲔ ᲮᲐᲤᲘᲐᲡ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ“ ᲘᲢᲧᲕᲘᲐᲜ ᲩᲔᲜᲨᲘ. ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲮᲐᲤᲘᲐᲛᲐᲪ ᲐᲠᲘᲪᲝᲓᲐ, ᲐᲠᲩᲘᲚᲘ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ.

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲚᲕᲘᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ. ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲮᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲧᲝ—ᲐᲠᲩᲘᲚᲡ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲐᲗ. ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲗᲝᲗ. ᲐᲠᲩᲘᲚᲡ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲔᲯᲐᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ „ᲚᲐᲥᲣᲪᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲘᲢᲧᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲠᲝᲛ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ: ᲫᲐᲚᲝ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲛᲐᲜᲔᲑᲔᲗ ᲨᲔᲡᲫᲐᲮᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲠᲩᲘᲚᲛᲐ. ᲮᲐᲤᲘᲐ ᲓᲐᲯᲓᲐ ᲕᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

— ᲩᲔᲛᲝ, ᲠᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲢᲘᲠᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ? ᲠᲐ ᲕᲗᲥᲕᲘ ᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ? ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲐᲠᲩᲘᲚᲛᲐ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ თუ რასთვის ატირდა? ᲔᲠᲗ ᲙᲐᲑᲐᲖᲔ ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲧᲝᲤᲐ ᲩᲐᲘᲓᲘᲜᲔ! ᲯᲔᲠ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ ᲔᲡᲛᲝᲓᲐ, ᲛᲔᲠᲛᲔ ᲞᲘᲠᲐᲗᲐᲪ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲘ, ᲡᲮᲕᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲠᲘᲡᲘᲛᲔ ᲐᲢᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ. ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲬᲧᲠᲝᲛᲐ ᲔᲒᲝᲜᲐ.

— ᲮᲐᲤᲘᲐ, ᲚᲛᲔᲠᲗᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲮᲔᲓᲝᲗ, ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲐᲫᲚᲘᲝᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲤᲔᲠᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲚᲐ ᲔᲣᲐᲜᲓᲔᲠᲫᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲠᲗᲡ ᲕᲐᲟᲡ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ.

—ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲮᲐᲠ, ᲒᲔᲜᲐᲪᲕᲐᲚᲔ, ᲛᲔᲪ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲛᲐ ᲛᲙᲕᲐᲮᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘ ᲬᲔᲚᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ Უ

ტათ არ შეუწუხებია ისინი. თქვენ არ დაიჯერებთ, როგორ მოუთმენლათ ელიან მომხრენი და წინააღმდეგნი პანსლავიზმისა თქვენს განაჩენს შესახებ ზემოხსენებულ გასწორებისა. ჩვენ ძალიან გაავმპარტავნდებოდით, რომ განგვეზრახა, ვითომ უბრალო ასოების ცვლილებასა აძლევენ ამისთანა დიდს მნიშვნელობას, მხოლოთ იმისთვის, რომ ის ცვლილება იყო მოძხდარი ფრანციის წარმომადგენელთაგან. უფალნო, ნურას შემთხვევაში ნუ დაეუკარგავთ ფრანციას იმ გავლენას, რომელიც მოიპოვა იმან სასარგებლო სამსახურით წინაშე ცივილიზაციისა. (ძალიან კარგათ ითქვა, ძალიან).

(შემდეგი იქნება).

შეერთებული შტატები.

შეერთებული შტატების კათოლიკთ ეპისკოპოზებმა გამოსცეს—როგორც ამბობს გაზეთი Times-ი—ცირკულიარი, რომლითაც უკრძალვენ ამერიკაში სალდათების მოგრეებას პაპის ჯარისთვის, რადგან ამას ისინი შეერთებული შტატების ნეიტრალიტეტის დარღვევად ჰრაცხვენ. ეს კია, რომ ეპისკოპოზები ურჩევენ მორწმუნეთ წმ. მამის საქმეში დახმარებას სხვა რაიმე გვარი ღონისძიებით.

შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი შ ტ ა ტ ე ბ ი ს ჯ ა რ ი. Liberté-ში დაბეჭდილ კორრესპონდენციაში, რომელიც არის გამოგზავნილი ნიუ-იორკიდგან, სხვათა შორის სწერია: შეერთებულ შტატებში მომხდარი „ურთიერთ-შორისი ომის უკანასკნელი პოლიტიკური ნაკვალევი თანდა-თან ქრება; საზოგადოება თავის ძალას ამ კვალის მოსპობას ახმარებს და ამისაგან გამომდინარე ჯარების შემცირება აჩქარებული ნაბიჯით მიიწევს წინ. რაც ჯარს კაცები აკლდება სამსახურ შესრულებული სალდათების გამოსვლისაგან და სიკვდილისაგან, იმათ მაგიერს აღარა ჰკრებენ; ამის გამო ჯარის რიცხვს დღითი დღე უფრო და უფრო აკლდება. ჩვენი ახალი სამხედრო მინისტრის უ. შეფფილდის მოხსენებიდგან, რომელიც იმან კონგრესს წარუდგინა, სჩანს, რომ 1869 წლის 1 იანვარს შეერთებულ შტატებში შეთოფიარაღებული იქნება მხოლოდ ოცდაცხრაათას ექვსასსამოცდაათი კაცი, იმათგანი იქნებიან: ცხენოსანნი—5455, არტილერია (მეზარბაზნენი)—3581, ქვეითნი—20,631. ექვსი თვით ამაზედ გვიან, ესე იგი 1869 წლის 1 ივლისს, რესპუბლიკის ჯარში იქნება მხოლოდ: შვიდმეტი ათას ასორმოცდაცხრამეტი კაცი, სახელდობრ: ცხენოსანი—3224, არტილერია—2,210 და ქვეითნიც 11,725 კაცი.

კ ა ნ დ ი ი ს დ რ ო ე ბ ი თ ი მ მ ა რ თ ე ბ ლ ო ბ ი ს პ რ ო ტ ე ს ტ ი. მოხსენებული პროტესტი კანდიის დროებითმა მმართებლობამ წარუგზავნა ყველა უცხო სახელმწიფოების ელჩებს (კონსულებს). თვით პროტესტი შემდეგია: „ე ქ ვ ს ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს მ ა ზ რ ე ბ ი ს მ მ ა რ თ ე ბ ლ ო ბ ი თ ი კ ო მ ი ს ი ა ს წ ე რ ს უ უ. უ ცხ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ე ი ც ე კ ო ნ ს უ ლ თ ი რ ა კ ლ ი ო ნ ს. მოწყალეო ხელმწიფევ, ივლისის 18 ცნობისა მებრ აწ გაუწყებთ თქვენ აქ დართულს იმ პირთ სიას, რომელნიც დახოცეს ოსმალებმა პედიადის მაზრაში. ჩვენ ვალათ ვრაცხავთ გამოვაცხადოთ აგრეთვე, რომ ამ ჟლეტის დროს მუსულმანებს არც ერთხელ არ გაუგდიათ თოფი ან დამბაჩა, გარნა ყველანი დახოცეს ხმლით, ხანჯლით და კეტებით. აი ამ მსხვერპლთ სრული სია: პაპა მანუელი, ორმოცი წლისა, ჯერ ჩამოკიდებული, მერე ჯვარზე გაკრული და უკანასკნელ სიცოცხლის წამადმდე ხანჯლებით ნაცემი. მისი ცოლიც მოკლეს. ქ. პ. პეროკი, ოთხმოცი წლის მოხუცი, ექვსჯერ ხანჯლის დარტყმით მოკლული. ორი იმასთან მომავალი დედაკაცები შიშისაგან დაიხოცნენ; ორი ახალგაზდა ქალი ფანჯრიდგან გადაცვივდნენ, იმისთვის რომ შეგინებისაგან დაეფარათ თავები. ზაქარია ლიოტაკი, ორმოცდა თხუთმეტის წლისა; ამას ჯერ ხელები დასჭრეს, მერე გამოფაშვეს და შემდეგ თავი მოჭ�. ამისი ცოლი ჯერ გაუპატიურეს და მერე მოკლეს; ამის მამას, ქ. ლიოტაკის ჯერ თვალები ამოსთხარეს, მერე თავი მოსჭრეს. ბაბრილაკი, რომელსაც ჯერ თვალები ამოსჩიჩქნეს და მერე შუაზედ გასჭრეს. დ. ზერვაკი, ოთხმოცი წლის მოხუცი, ორი თავისი შვილით; სამნივ თავიანთ სახლში დახოცეს; ათი წლის ყმაწვილმა თითონ მოიკლა თავი, რომ დასწეოდა გახრწნილებას (გაუპატიურებას)... (სიაში არიან მოხსენებულნი კიდევ ოცამდის დახოცილნი, რომელთ რიცხვში ყმაწვილები და ჰაბუკებიც ურევიან).... მოხსენებულთ მსხვერპლთ გარდა, ოცდა ათი კაცი არის დაჭრილი. ამ უბედურთ ყოფა ცხოვრება სულ ერთიან წარტაცებულია. წარმოგიგზავნით რა ამა პროტესტს, უმორჩილესად გთხოვთ, უ. კონსულო, აუწყოთ ესე თქვენს მმართებლობას და მიიღოთ ჩვენგან რწმუნება თქვენდამო მაღალის პატივისცემისა.“

ნეოხორი (მირამბელლო), 13 (25) ივნისს 1868 წ.

(აქ ხელ-მოწერილია).

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი.

პეტერბურგში მიღებული

ბუხარესტი, 10 (22) ი ვ ლ ი ს ს. ოსმალეთის გარეშე საქმეთ მინისტრმა, ფუად-ფაშამ, ტელეგრაფით მისწერა პროტესტი (უმადურება) პირდაპირ მთავარს ქარლოსს იმ თაობაზედ, რომ რუმინიაში განდგომილების თაბუნები იკრიბებიან.

ბოლგარიის რევოლიუციური კომიტეტის განყოფილება, ჟურჟში მყოფი, დაატუსაღეს, აგრეთვე რუსისს აგენტურაც. *)

ჩისტოვიდგან ექვსი საათის სავალზედ, გამაგრებულ ტყეში ბოლგარიის განდგომილების თაბუნი ოთხი დღე ზედიზედ უმაგრდებოდა ოსმალეთის ჯარს, მაგრამ ბოლოს ოსმალებმა თითქმის სრულებით გაწყვიტეს ისინი. ოსმალებს მოუკვდათ აქ ერთი მაიორი, ორი აფიცერი და ორმოცდა რვა სალდათი. კონსტანტინოპოლიდგან სხვა ოსმალეთის ჯარიც კიდევ მოვიდა იმათ მისაშველებლად.

ლონდონი, 12 (24) ი ვ ლ ი ს ს. საზოგადოებათ პალატის დღევანდელ ყრილობას უ. მონტეგიუმ აუწყა, რომ ინგლიის მმართებლობამ მიიღო ცნობა, რომ რქიანი საქონლის ჭირი გაჩნდაო ეგვიპტეში, ეოლინზე და სხვა რუსეთის ალაგებში.

პარიჟი, 13 (25) ი ვ ლ ი ს ს. ზ ა ვ ა ს ი ს საგენტო იწერება ჟურჟიდგან, რომ ბოლგარელთ თაბუნები, რომელნიც დუნაის გასულან, ეითომ ვლახეთში შეკრებილან და ეითომც თოფიარაღი იმათ აქვსთ დარიგებული ბუხარესტისა და სხვა პანსლავიტელთ კომიტეტებისაგან. 400 ბოლგარელი, რომელნიც ჟურჟში რკინის გზაზედ მუშაობდნენ, რუშჩუკს დაბრუნდნენ, სადაც 9 (21) ივლისს შეტაკება მოუხდათ იმათ. როგორც ამბობს გავასის ტელეგრამმა, დუნაის ორივე ნაპირზე სიგნალები (ნიშნებით ან საყვირით ლაპარაკი) ისმის მოუწყვეტლივაო. შეეჭველია, ეს ამ ბები დიდი ხანია მზადდება; მაგრამ ეს კი გაუგებარია, თუ როგორ დაემალა ეს რუმინიის უფროსების თვალყურს.

ლონდონი, 13 (25) ი ვ ლ ი ს ს. ინგლიის ყველა ალაგებიდგან მოსავალზედ ძალიან კარგი ამბები მოდის.

ბუხარესტი, 13 (25) ი ვ ლ ი ს ს. ბოლგარიაში ბევრგან გაჩნდნენ განდგომილების თაბუნები, რომელნიც ჩინებულად არიან შეიარაღებულნი. დატყვევებულნი ამბობენ, რომ ეს თაბუნები რუმინიაში შეიკრიბნენო.

— 14 (26) ი ვ ლ ი ს ს. გაზეთში რ ო მ ა ნ უ ლ შ ი ძალიან სანანურად მიაჩნიათ ბოლგარელების ადგომა, რადგან ეს არეულება ბოლგარელების სახალხო საქმეს ავნებსო; ამასთანავე გაზეთი დაწყნარებას ურჩევს ბოლგარელებს. რუმინიის მმართებლობა ღონისძიებას ხმაროობს, რომ მოსპოს ბოლგარების მოძრაობა რუმინიაში. ბრატიანო ჟურჟას გაემგზავრა განდგომილების მოქმედების დასახშობლად.

ათინა, 12 (24) ი ვ ლ ი ს ს. დღეს მობძანდა აქ დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.

რომი, 14 (26) ი ვ ლ ი ს ს. პოლიციამ გამოაჩინა აქ თხრილი, რომლის საშუალებით ავენტინოს სერზედ მდგარი ციხე-სიმაგრეები უნდოდათ აესროლათ ჰაერში. ამ დღეებში ორი ყარაული დასჭრეს ღამე. პოლიციამ შეპიყრა წითელი და შაღი პერანგების პარტია. რომის ქამპანში რომ ნება დართეს ტილოთი ვაჭრობაზედ,—ეხლა ისევ აკრძალეს.

ბელგრადი, 14 (26) ი ვ ლ ი ს ს. კონსტანტინეპოლიდგან გაგზავნეს სულთნის ფირმანი, რომელიც, თანახმად სკუპშტინის გადაწყვეტილებისა, ამტკიცებს თავადს მილანს სერბიის მემკვიდრეობით მთავრად.

— 16 (28) ი ვ ლ ი ს ს. დღეს, დილით, ქალაქს გარეთ დუნაის ნაპირზედ, მრავალი მაყურებლებისა და ჯარების თანა-დასწრებით დახვრიტეს თოთხმეტი კაცი, რომელთაც განუჩინეს ეს სასჯელი მთავარი მიხეილის მოკვლისათვის.

ოდენბურგი, 17 ი ვ ლ ი ს ს. ბუხარიის ემირმა დაზავება (შერიგება) მოახდინა გენერალ-გუბერნატორთან, გენერალ-ადუტანტთან ფონ ქაუფმანთან. ამ ზავის სხვა პირობათა შორის ემირი ვალდებული გახდა მისცეს რუსის მმართებლობას კონტრიბუციად 500,000 მან. ამ ფულში იმან 30,000 მან. კიდეც გადაუხადა. ქალაქები, რომელნიც რუსის ჯარებმა დაიჭირეს,—ისევ დაუბრუნეს ემირს.

კონსტანტინეპოლი, 16 (28) ი ვ ლ ი ს ს. დუნაის კიდეებიდგან მოსული ახალი ოფიციალური ცნობები ამტკიცებენ, რომ განდგომილების მომეტებული ნაწილი, რომელნიც ვლახეთით ოსმალეთში გადავიდნენ, დასჭრეს, დახოცეს ან დაატყვევესო, ასე რომ რაც ვადარჩინენ, იმათ შეპყრობის იმედიც მალე აქვსთ. დუნაის მაზრა, ოსმალეთში მდებარე, სრულებით მშვიდათ არის.

მადრიდი, 18 (30) ი ვ ლ ი ს ს. ისპანიის მმართებლობა მოელის რევოლუციურ მოძრაობას და ძალიან იჭვით უცქერის თავისი ფლოტის აფიცრებს.

პარიჟი, 15 (30) ივლისს. Gonstitutiónnel-ში სწერენ დღეს, რომ მთავარ მილანთან გაგზავნილი სულთნის ბარათი, დაბოლოებით ამტკიცებს ობრენოვიჩის გვარეულობას სერბიის ტახტის მემკვიდრეობაზედ. ეს საქმე მით უფრო საჩინოა, რომ ოსმალეთის მმართებლობამ თავის თავად მიიღო, სხვა დიდი სახელმწიფოების ან იმათი ელჩების ძალა დაუტანებლად; ამიტომ მოხსენებული გაზეთი მიულოცავს ამ საქმეს სულთანს.

—ამბობენ ფრანციის მმართებლობას რომის სასახლესთან მოლაპარაკება აქვს შესახებ იმისა, რომ რომაელთ-კათოლიკეთ სახელმწიფოებმა მიიღონ მონაწილეობა ლათინის მსოფლიო კრებაში.

---

*) ა გ ე ნ ტ ი არის ვისიმე (სახელმწიფოსი, საზოგადოებისა, თუ კერძო პირისა) სასარგებლოდ მომქმედი პირი.

უ ქ ი მ—ს „თ უ თ ი ყ უ შ ე ბ ი და ჭ ო რ ი კ ა ნ ე თ ე ლ ი რ ი ხ ი ნ ა ძ ე ე ბ ი“

უკანასკნელ დროში აი რა ცვლილება არის უქიმ—ში: მისი მშვენიერი ქუჩები დანათლეს და სახელები დაარქვეს; ეს რომ არა, შენ მტერი: ველარავის მივაგნებდით! ამასთანავე ცოტა არ არის, ძლიერ უხდება მის მშვენიერს ქუჩებს ოთხ-კუთხიანი, ლურჯათ შეღებილი პატარა-პატარა ფიცრები, რომელზედაც ქუჩის სახელები აწერია.

ამ ჟამათ უქიმ—ში ძლიერ მოწყენაა; ღამის ათ საათიდამ მის უმთავრესს ქუჩებზედ დიდი მყუდროება სუფევს, ასე რომ გეგონება უდაბურ ტყეში ვარო—ერთი კაცი არსადა სჩანს; მეტადრე თუ ბნელი ღამეც არის, ცოტა ფრთხილად უნდა ბრძანდებოდეთ; განაპირის ქუჩები კი სულ ღმერთმა შეინახოს; უშიშრათ ამ ქუჩებზე სიარული საძაგელი იყო. ღმერთმა უშველოს პოლიციას, რომელმაც ახლა-ხანად შემოიღო, რომ ზორის დაკერის შემდეგ ასასებმა უნდა არახუნონ თავიანთ ახლად შემოღებული ხის ზარები; ამათი რახუნი მარტო თუ შესწყვეტს შეურყეველს მყუდროებას, რომელიც გვიმტკიცებს, რომ უქიმ-ში კიდევ არის ცოცხალი სული.

„ამ დროს ამისთანა სიჩუმის მიზეზი უქიმის საზოგადოება უნდა იყოს“ ამბობს მკითხველი; მართლაც უქიმ-ში ეხლა ცოტანი არიან; სტუმრათ ან დროს გასატარებლათ აქ ეხლა სოფლიდამ ძალიან იშვიათათ მოდიან; აქ აღარც იმ გვარი ვაჟბატონები ბრძანდებიან, რომელნიც (როგორც გვიმტკიცებს N 26 „დროებისა“) ქუთაისში მარშლების ამორჩევის დროს შტოსში ჭიდაობდნენ. აღარც იმ ქარხნის ქალბატონები, რომელნიც კენჭის ყრის დროს ბაგარინის პროსპექტზედ დაფრიალებდნენ; აქ ამ ჟამად არიან ძველი და ნიადაგ აქაური მისი ქალბატონები, ის ქალბატონები, რომელნიც ყველასათვის ადვილ საცნობნი არიან (ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს უქიმს); რომელნიც არაფერს საქმეში არ აჩქარდებიან და რომელთათვის ზაფხული და ზამთარი ერთია—თითქმის განუშორებლათ უქიმ-ში არიან. ამასთანავე აქ არიან, ამ ქალბატონებსავით ადვილად საცნობნი, ჩვენი ქ ო ჩ ო რ ა რ ი ხ ი ნ ა ძ ე ე ბ ი; ეს რიხინაძეები, მომეტებული ნაწილი, არიან მცხოვრებნი სოფელს ჭ ო რ ი კ ა ნ ე თ ი ს ი; მაშ სიადვილისათვის დავარქმევ ამათ ერთს საზოგადო სახელს „ჭ ო რ ი კ ა ნ ე თ ე ლ ი რ ი ხ ი ნ ა ძ ე ე ბ ი“.—ეს ორი მაზრა შეადგენს ეხლანდელს უქიმ-ის საზოგადოების მომეტებულ ნაწილს; ამათ დარჩომიათ ეელა ბურთიცა და მოედანიცა. მოვჰყვეთ და მოვილაპარაკოთ იმაზედ, თუ როგორ ატარებს დროს ან ერთი, ან მეორე მხარე. რადგან ქალბატონები უფრო პატივ-საცემნი ბრძანდებიან, (ნამეტურ ჩვენი), ამისათვის დავიწყოთ ქალბატონებიდამ.

უქიმ-ის ქალბატონების ნამდვილი სურვილის და დროს გატარების შესატყობლათ უნდა შევეპაროთ ერთს იქაურ ოჯახში და დაუგდოთ ყური რას ამბობენ და რას აკეთებენ; ამას მე ვკისრულობ, მკითხველო, და იმედი მაქვს კიდეც აღვასრულო ღვთითა და ჩემის უჩინ-მაჩინის ქუდის შემწეობით.

კ.—ეჰ! ეჰ! რათ გამაღვიძე, ბეჩა, ივანე! რა მეძინებოდა... შენ მოგეცა ჩემი ცოდვა!...

ეტყვის ცოლი ქმარს.

ი.—ამდენი ძილი გაგონილა: 12 საათია და შენ კიდევ გძინავს; სირცხვილია, რომ ვინმე შემოვიდეს,—ქმარი უპასუხებს.

კ.—ბეჩა, გუშინ სამი საათი იყო, რომ დავიძინეთ; ძლივს პირველს საათზე გავათავეთ ლოტოს თამაში.

ი.—ლოტო, თორემ ბევრსაც მოიგებდი! ნეტავი თქვენ, ქალებო, მოკლილი ხართ: ლოტოს როგორ ვითამაშებ!

კ.—როგორ თუ ბევრი, 4 მანეთი მოვიგე და იმედი მაქვს აწ აღარ წავაგებ, ორ ღამეს მეყოფა ეს მონაგები; ერთ ღამეს რომ წავაგო, მეორე ღამეს რომ მაინც არ მოვიგო არ შეიძლება და დავრჩები ისევ მოგებული.

Ი.—Არა ჰგავს ჩვენს პროფერანსსა და იარალაშს! აქ ჭკუა უნდა, ფიქრი უნდა და ფულის მოგებაც კარგათ შეიძლება. Ვინ და ვინ იყავით წუხელი ლოტოს სათამაშოთ ქ.....სს?

კ.—Ვინ ვიქნებოდით? განა არ იცი, ვინც ვიქნებოდი, ვინც წინა ღამეს ვიყავით, ისევ ისინი ვიყავით; სხვა არავინ მოგვმატებია. Ამაღამ სად წავიდეთ ლოტოს სათამაშოთ?

Ი.—(ხსნის საათს) Რადროს ლოტოს თამაშობაა, აგერ მეორე საათის 10 მინუტი გასულა; ჭამა მინდა, როგორც მშიერს მგელს; ადექი ჩქარა, ჩაიცვი, მე ნუმოგიკვდები, და გამოდი პური ვჭამოთ? შენ ხომ ერთ საათს მაინც მოუნდები ტანთ ჩაცმასა.

Გამოდის და ამწლაკუნებს პირს. Იმისთანა მადა აქვს, როგორც ეტყობა, ერთი ცხვრისაგან ვგონებ კუდიც აღარ მორჩეს; ღმერთმა უშველოს ერთს მის ნაცნობს, რომელიც შემოდის ამ დროს და ავიწყებინებს მუცლის შხამს და პირის მწლაკუნს მის შესაფერის მუსაიფით; დასხდებიან, ილაპარაკებენ, ამასობაში მეორე საათიც გადის; მეგობარი ეცლება და Ივანე მარტოკა რჩება. მუსაიფს მოკლებულ Ი. დაუწყო მუცელმა ქავილი და გაბა ღრიალი: „Ბეჩა, გამოდი ქალო, გაციდა ყველაფერი, გამოდი, ბარემ ცალა ვჭამოთ საღილი.“ პასუხი არსიდამ ისმის მისდა საუბედუროდ; მირბის და მორბის გამწარებული ბალკონზე: მეტს ველარ ითმენს. საწყალი შეევარდება კ. . . . ოთახში ღრიალით და მოუთმენელათ შესძახებს კ. . . . „ღმერთმა შემარცხვინოს, ან თუ ნახევარი გეკადრებოდეს! Ჭამოდი, ესჭამოთ საღილი: დავიხოცეთ სიმშილით!

კ.—ლოტოზე დაპატიჟების ქალალდი არ საიდამ მოგვსელია?

Ი.—ღმერთმა შემარცხვინოს, თუ სულ გადარეული არ იყო! რა მელოტობა, მუცელი მეწვის?! გამოდი, თუ არა მე შენ ალარ მოგიცდი. (გავარდება Ივანე).

კ.—Ბოგო, მონავარდისა! (შამოდის მონავარდისა). Დაპატიჟების ქალალდი ხომ არავის მოუტანია? არა, ბატონო, სულაც არავინ გხლებიათ.

კ.—Ამის გამგონი დალონებული და უქეიფოთ შიდის ზალაში, სადაც არის გაშლილი სუფრა; დასხდებიან საღილათ. Ივანეს დაჯდომა ვერავინ მოასწროს, დავარდა გამგელებული და დაიწყო უმოწყალოთ კისერში ლუკმის სროლა. მე ჯერ გაკვირვებული ვიყავი; იმოდენი ლუკმა როგორ ეტეოდა პირში და ან ისე ჩქარა ყლაპვაში რატომ გულზე არა ადგებოდარა. Ოტა არ იყოს, შიშიც მომეცა, ერთობ ახლოს ვიყავი, ესთქვი, ვაი თუ ღმერთი გაუწყრეს, კისერში რამე გაეჩრას და ალიანქოთი ატყდეს, ხომ მეც გამსრეს მეთქი; მივედი და ბუხრისაკენ მავიწიე და იქიდამ დავიწყე ყურება. Სანამ კარგათ რჯულზე არ გაძღა და არ მოიდგა სული, თავჩაქინდრულს მაღლა არ აუხედნია; მერმეთ კი შეხედა კ. და ნახა, რომ ის თითქმის ყველაფერზედ ხელ უხლები იყო და არას ლაპარაკობდა; ეტყობოდა რალაცაზედ დალონებული იყო.

Ი.—Რა ამბავია შენი ასე მოწყენა? თითქო შენ კარგი მადა გქონდა ხოლმე; რამ დაგაღონა? ავათ ხომ არა ხარ?

კ. – (რამდენიმე მინუტის შემდეგ) მე ძლიერ მიკვირს რატომ დღეს არავინ დაგვპატიჟა ლოტოზედ!

Ამ დროს, როდესაც Ი. პასუხი უნდა მიეცა, რალაც გემრიელი ნაჭერი მოხვდა ხელში და ამით გახარებულმა პასუხის მაგიერათ ეს წამოაძახა: „შენ არ მომიკვდე, ამ ჩვენებურათ მოხარშულ ბეჭს არა ფერი არა სჯობდეს; მასთან კარგი მძაღე-ძმარი, თეთრი ღომი და კულით წითელი ღვინო! ვიჰ! ვიჰ!!.....“ როდესაც Ი. ამ განცხრომაში არის, კ. ერთს ხენეშაშია და ბოლოს წამოიძახებს: ნუ თუ წიგნი არავის მოუტანია დღეს ჩემთვის?! პასუხის მაგიერად Ეკატერინეს Ივანეს მადლიანი პირის მწლაკუნი ესმის; გული უსქდება და ეძახის ბიჭს: „ბიჭო, წადი ძიძას კითხე, წიგნი ხომ არავის მოუტანია ან ხომ არავინ ყოფილათქო.

ბიჭი—(მოდის და მოახსენებს) ძიძამ მოგახსენათ: „ზ“...ათ ბიჭი გახლდათ და უთხოვიათო თქვენთვის საღამოს მიბძანებაა.

Ამის გამგონე Ე. მხიარულების ალით პირი სახე ალენთო; სირცხვილით ველარას ამბობდა, თორემ ის მზათ იყო მოეთხოვა მორჩენილი საჭმელი; თუმცა ეს კი ველარ გაბედა, გარნა ამით ბევრი არა ზარალებიარა: იმის ხილის ჭამას ველარ აუვიდნენ. როგორც იქნა თავის გუნებიერათ აივსო მუცელი. ნასადილევს Ი. და Ე. მიგორდნენ და იკოტრიალეს კარგა მზის ჩასვლამდის; მერმეთ აბძანდნენ, პირი დაიბანეს, ჩაიცვეს და გარეთ გაბძანდნენ—ბალკონზე სასიარულოდ; მიიხედ-მოიხედეს და ამასობაში ლოტოს სათამაშოთ წასვლის დრომაც მოაწია. Იმას ალარ ავწერ, თუ როგორ გათავდა ლოტოს თამაშობა, რადგან ბევრჯელ სმენია ამისთანაები მკითხველის ყურებსა. Ე. დარჩა ზ... სას 1-ს საათამდის, მერმეთ დაბრუნდა შინ და ჩაგორდა დასაძინებლათ. Ასე გაატარა ეს დღე ამ პატიოსანმა მანდილოსანმა; ასე გაუტარებია იმას წარსული დღეები, ასე უნდა გაატარს შემდეგი დღეები და ლამის მთელი მისი სიცოცხლეცა! Ამაში აღამებენ და სცდილობენ დაალამონცა თავიანთ სიცოცხლე მისთა პატივცემულთა თანა მელოტოეთა!

Ასე გადის მათი დღე და ღამე. Აქ რიგით არის ლოტოს თამაშზე მიპატიჟება, ასე რომ ყოველს დღეს აქ ლოტოს თამაშობაში არიან.

Ერთს დღეს საღამოზედ მომინდა საშინლათ სეირნობა; გრილი და მშვენიერი საღამო იყო; დიდხანს ვისეირნე თუ ბულვარში, თუ Უქიმ-ის მშვენიერს ქუჩებზედ. მაკვირვებდა ამისთანა მშვენიერი მთვარიანი ღამით როგორ არ სარგებლობენ და არ სეირნობენ თუ Უქიმ-ში ვინმე ცოცხალი არის მეთქი. მეათე საათი შესრულდა, ცოტა არ იყო კიდევაც დავიღალე, ვიფიქრე ერთს ჩემს ნაცნობთან შესელა, რადგან ასე ადრე შინ დაბრუნება არ მინდოდა; შევიარე ერთ ჩემ მახლობელ ნაცნობთან, არავინ იყო შინა; მეორესთან—არც იქა; მესამესთან—იქაც კაცი არ დამიხვედა. მივხვდი იმავ წამს, სწორეთ ლოტოს სათამაშოთ იქნებიან სადმე მეთქი; დავადექი ხან ერთს ქუჩას, ხან მეორესა, თითქმის სულ შამოვლიე, მაგრამ ვერსად ვერ მივიმკვლიე; მე არ დავკარგე კიდევ მოთმინება, ჩაუდექი კვალში და გადვიწყვიტე გულში მათი პოვნა.

Როდესაც დავადექი ერთს გძელს ქუჩას, ერთიც ვნახოთ, დრო გამოშვებით რალაც წრიპინი შემომესმა; ჩუ! გავჩერდი, დაუგდე ყური, ღვთის მადლმა, ეს რა უნდა იყოს? ვამბობ ჩემ გუნებაში: ჩუ!!.. გავჩერდი, დაუგდე ყური: რა უნდა იყოს ვერ მივხვდი; ძლივს ისმის ხმა სიშორიდამ, ამისათვის გაუჩქარე ფეხს, ჩუ?!.... კიდევ მომესმა, დაუკვირდი..... გადვიწყვიტე გულში, რომ სწორეთ ახალ მოსწავლე თუთიყუში არის მეთქი და რადგან Უქიმ-ში იშვიათია თუთიყუში დავაპირე მისი ნახვა და ყურის დაგდება. Გავსწიე. Როდესაც მიუახლოვდი, დავრწმუნდი, რომ ის სწორეთ თუთიყუში იყო; როცა მიველ იმ ფანჯარასთან, საიდამაც გამოისმოდა ეს ხმა, შევხედე და დავინახე თუთიყუშების გუნდი, რომელნიც ვარჯიშობდნენ სიტყვების გამოთქმაში; ერთი მენანებოდა, უწინ რომ მინახავს, იმისთანა ლამაზი თუთიყუშები არ იყვნენ, ეგონებ გადაგვარებული იყვნენ: ზოგი კუდ-მოგლეჯილივით მომეჩვენა, ზოგს ნისკარტი ჰქონდა მოტეხილი და უჭირდა ძალიან სიტყვის გამოთქმა, ზოგს ფრთები ჰქონდა დაგლეჯილი და სხვებს ვინ იცის რა!..... Ყველაზე უფრო ერთი ნისკარტ მოტეხილი თუთიყუში შემეწყალა; ძალიან ცდილობდა დაესწაკლა და კარგათ გამოეთქვა სიტყვები, მაგრამ აბა რალას დაისწაელიდა, სწაელის დრო წასული ჰქონდა; თუმცა ძალიან შეცადინეობდა კარგათ გამოეთქვა, რასაც ამბობდა, მაგრამ საბრალო ხრინწიანი გეგონებოდა, ისე საძაგლათ იძახოდა: ტრიი—წატ-ჩე-თრიე..... პე..ეტნეცი, სოოროქ ფეთ, ჩეთრ, შეესდესი, ეოსიმ..... „ვიიიგრალ; ვიგრალ, ვირგალა“ წამოიძახებს ამ დროს ერთი კუდ მოფცქვნილი თუთიყუში; ზოგიერთნი მათგანნი ისეთი გაწაფული იყვნენ ამ სიტყვების გამოთქმაში, რომ ქუჩის დალალს მომაგონებდნენ, რომელიც სიმღერით ამბობს თითო ოროლ სიტყას. Ამის ყურებაში რომა ვარ; ერთმა ჩემმა ნაცნობმა გამოიარა და შემომეპატიჟა. Თუმცა ძნელი იყო ამისთანა სიამოვნების მოკლება, ჩაუჯექი და გავსწიე შინ. Ალარც არა ვიცი მასაქეთ, იქვე დარჩენ ეს თუთიყუშები, თუ გაფრინდნენ სადმე.—

Ახლა დავეცეთ თავს ჩვენს „რიხინაძეებს“ გამარჯვება თქვენი, ჭორიკანეთელო რიხინაძეებო“! ნუ იკუზებით, წარმოსდექით წინა, რისი გეშინიანთ? გაგკრავთ, გამოკრავთ ხელს, გადაგხდით ზეწარს და შეგხედავთ ხელდახელ რა კაცები ბრძანდებით! Ამათ გაცნობას გძელი ისტორიის დაწერა არ უნდა. მკითხველმა რომ ყურადღება მიაქციოს და განიხილოს ეს ორი მათი სახელი, ესეც სრულიად საკმაო იქნება, რომ ნამდვილად დაესახოს მათი ჭეშმარიტი სურათი: „რ ი ხ ი ნ ა ძ ე და მ ე რ მ ე ჭ ო რ ი კ ა ნ ე თ ე ლ ი“—ეს ორი სიტყვა მთელ მათს ისტორიას შეადგენს. Სოფელი ჭორიკანეთი მდებარებს ზღვის პირათ. Ფილოლოგები ამტკიცებენ, ვითომც ეს სახელი მომდინარეობს „ჭორიკანაობიდამ“, ხოლო „ჭორიკანაობა“ წარმოსდგება ქართულის ლექსიდამ „ჭორი“. Როგორც ისტორია მოგვითხრობს, ჩვენი „ჭორიკანეთელი რიხინაძეების“ წინაპარები საშინელი მეჭორეები ყოფილან, რომელთაც ეს თვისება სახელ-წოდებითურთ თავიანთ მემკვიდრეებს და ეხლანდელს ჩვენს „რიხინაძეებს“ დაუტოვეს სამკაულად.

Უქიმ-ის მედროშეებს რალა ეშველებათ, რომ „რიხინაძეები“ არ ყავდესთ, მათი საქმე ძლიერ ცუდათ იქნება; Დილიდამ საღამომდის ან ქუჩაზე „დარიხინობენ“, ან თავიანთ ნაცნობ ოჯახებში „ჭორიკანაობენ“. Ან კი რა ქნან საცოდავებმა, საქმე არაფერი აქვთ და ვერცარას გაკეთება შეუძლიანთ. Ესენი უსაქმობის მთვარეზე უნდა იყვნენ დაბადებულნი; ამათ საქმე არაოდეს არც ჰქონიათ და არც ექნებათ; მათ ბედისწერას ასე გადუწყვეტია მათთვის: „ჭორიკანეთელო რიხინაძეებო“! Თქვენ ხართ დაბადებულები უსაქმობის მთვარეზე; უსაქმოთ უნდა გაატაროთ თქვენი დღე და წუთისოფელი და უსაქმოთ უნდა იყოთ საფლავამდის. Მაგრამ რა უშავთ „რიხინაძეებს“ ქვეყნის გარეთ ნუგეშის მცემელნი კარგი ეყოლებათ; როდესაც ისინი ჩაწვებიან საფლავში, მათ ძეგლზე დამაძლარნი მატლები ასე სცემენ ნუგეშს: „რამ დაგაღონათ, თუმცა თქვენი სიცოცხლე უსაქმოდ გაგიტარებიათ სოფელში, გარნა თქვენი ძეგლი ისე გვიტკბობს პირს, როგორც ერთი ვინმე შრომის მოყვარის გვამი; და სხვას რალას დაეძებთ; თქვენი შთამომავლობისაგან თქვენზედ ძვირის და საყვედურის ნუ გეშინიათ, თქვენ ველარას გაიგონებთ და ჩვენ არას გეტყვით.“ მაშ რალა გიჭირსთ „რიხინაძეებო“ რალათ გინდათ რამე, ნუგეშის საცემლათ მატლებიც გეყოფათ. „Ირიხინეთ და იჭორიკანაეთ“, საფლავში ველარას გაიგებთ, ვერც ქებასა და ვერც საყვედურს. „რიხინაძეებს“ ძვირად მიისწრებს კაცი სახლში. Დილას რომ გამოვლენ ლამის 4-ს საათზედ შინ მიბრუნდებიან. Ამათ ცნობა თუ გეხალისება, მკითხველო, ეს ადვილათ შეიძლება; თუ მანდ არ გყავსთ „რიხინაძე“ გაისარჯე და ჩამობძანდი Უქიმ-ში, აქ უნდა დაადგე რომელიმე ქუჩას და უნდა უყურო გამველელ გამომველელს; ადვილად აგიხდება გულის საწადელი, „რიხინაძეებს“ შუბლზედ აწერიათ თავიანთი სახელი: „მე ვარ ჭორიკანეთელი რიხინაძე“. Დაუკვირდი, მათ შესაფერ ნიშნებს ბევრს იპოვნი: თმის თავისებურათ დავარცხნა გეუბნება მის „რიხინაძეობას“; მისი გაწკიპინებული ულვაშები, მისი გვერდზედ ცოტათი მოქცეული შლიაპა გეუბნება: „რიხინაძეა“; თუ ქვეითათ მიბძანდება—წელში ნაზად ირხევა, გეგონება ეს არის გადატყდაო (ყანდის ჩალაა?!), და თუ დროშკით მიბძანდება, იმ ნაირათ არის მისვენებული, გაფიქრებინებს: ეს სწორეთ ჩვენი „ჭორიკანეთელი რიხინაძე“ უნდა ბძანდებოდესო. Ახლა შეხედეთ ქვაფენილზე რა ამბით „მირიხინებს“ მის გოგმანში და ხმლის თავის მომწონ რახარუხში, თუ დაუკვირდი, მკითხველო, აშკარად „რიხინაძე“ გამოსჭვერს; მაგრამ კარგათ შეხედე პირის სახეზე, როგორ აღტაცებაში მოჰყავს ხმლის ჩახაჩუხს. Ამათ შემხედველს ბევრჯელ მიფიქრნია, რალა ეშველება საწყლებს ხმლის ტარება რომ აღეკრძალოს საუკუნოთ მეთჭი; რიღათი უნდა მოიპოვონ საყვარლის გული მეთქი, და შემწყალებია ამ ფიქრების შემდეგ.

Ახლა სტუმრიანობაში გადავაველოთ თვალი ჩვენ „რიხინაძეებს“, მათ მიხრა მოხვერას და რეევერანსიას კეთებას: პირველათ როდესაც შამოვლენ დიდის მოწიწებით, მხრების რხევით და გვერდის წინ წევით, მჩატეთ სალამს აძლევენ სახლის უფროსს, და თუ ვინმე უცნობი შეხვდა, შეხვედასაც არ აღირსებენ. Დიდის პატივით და ოინებით „რიხინაძე“ ჩაეყუდება კრესლოში; ლაპარაკობს იშვიათაო, კარგი უნდა, რომ ნახევარ საათს ორი სიტვა სთქვას (ეს სიტყვები თუ წაიკითხა „რიძინაძემ“ გაახშირებს ლაპაარკს, რომ მით დაამტკიცოს, ვითომ ის „რიხინაძე“ არ არის). Ბაუგონიათ „სიჩუმე ჭკუას ნიშნავსო“. Სილამაზით ხომ ალარ იჭობენ, რომ კალმით დახატულები ბძანდებიან; რომ ერთი მათი შეხედვა ყოველ მშვენიერს ქალს გულს მოსტაცებს. Ერთი საკვირველი თვისება სჭირთ ჩვენ „რიხინაძეებს“ ბევრში, როგორც შენიშნეთ ძალიან გაყუჩებულნი ბძანდებიან და როდესაც მარტოკა დარჩებიან თავიანთ უმახლობელეს ნაცნობებთან, მაშინ მოხსნიან თავიანთ სიცრუის და ჭორის გუდას თავს, ალარა აქვს ბოლო მათ ლაპარაკს. Რას არ მოიცრუებენ, რას არ მოჭორავენ! მისთანას რასმეს მოროშვენ, რომელიც სიზმრათაც არ უნახავთ. Ამის გამგონე მათი ნაცნობი წავა და ეტყვის თავის მაზრის პირს; ეს მეორეს; მეორე-მესამეს და წაყვება, ასე რომ ორ დღეს მთელ Უქიმ-ს შემოივლის. Თუნდა კაცს მოკლავენ, თუნდა გააცოცხლებენ და ვინ არის სულ ამის მიზეზი? რასაკვირველია, ჩვენი ქოჩორა „რიხინაძეები“. Უადგილობის გამო, ჩვენდა შესაწუხებლად, ამ გზობისათ ამით უნდა გავათავოთ რიხანაძეებზე ლაპარაკი. „ჭორიკანეთელი რიხინაძეები“!.... Ეს ისეთი საგანია და იმ ნაირათ მოგყვა ხელში, რომ მათზე ლაპარაკს თავის დღეში ველარ გავათავებთ; მაშ ვიცოცხლოთ, მკითხველო! და ამისთანეებს გაგაგონებთ ჩვენს „ჭორიკანეთელ რიხინაძეებზედ“?!...

Ივლისი 1867-სა წელსა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го августа, 1868 г. Ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი Ბ. წერეთელი. Გამომცემელი Ს. მელიქიშვი.